

ალექსანდრა პისარნიკი
ამაღლამ, ამ სამყაროში

Alejandra Pizarnik
EN ESTA NOCHE, EN ESTE MUNDO
Poemas
traducido por
Irakli Qolbaia

გამომცემელი: დათონ ბარბაქაძე

წინამდებარე გამოცემა მეორე წიგნია, რომელიც ფინანსურად უზრუნველყოფილია პოეზიის მთარგმნელებისთვის ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის პრემიას თანდართული იმ თანხის (700,00 ლარი) ნანილით, რომელიც დათონ ბარბაქაძეს 2018 წელს გადაეცა ლიტერატურულ პერიოდიკაში დაბეჭდილი პოეზიის თარგმანის ნომინაციაში და პირადი მიზნებისთვის რომლით სარგებლობაზეც მან საჯაროდ თქვაუარი. წინამდებარე წიგნის სასტამბო ღირებულებამ, პირველი წიგნის (რობერტ კელი, საფოსტო ბარათები ქვესკნელიდან, მთარგმნელი ირაკლი ყოლბაია) სასტამბო ღირებულების მსგავსად, შეადგინა 220,00 ლარი. დარჩენილი 260,00 ლარი მოხმარდება კიდევ ერთი თარგმნილი წიგნის გამოცემას.

პირველი გამოცემა-აქცია

გამოცემისადა
თბილისი 2019, დეკემბერი

ISBN

ალესაძერა პისარინი

ამაღამ, ამ სამყაროში

ლექსენი. ინტერვიუ

ესპანურიდან თარგმნა
და წინასიტყვა დაურთო
ირაკლი ყოლბაიამ

ალქიმია და სინესთეზია (პროზაული ოდა მის სიმამაცეს)

რაღაც ხნის წინ, ალექსანდრა პისარნიკისა სრული პოეტური კორპუსის (რომელიც, მიუხედავად პოეტის თვითმკვლელობისა 36 წლის ასაკში, 400-ამდე გვერდს მოიცავს, ეს კი მხოლოდ ერთი ნაწილია მისი შემოქმედებისა) ფურცვლილას, ხელახლა შემომხვდა ერთი მისი ლექსი, წიგნიდან "მუსიკალურ სამოთხე" (1971), რომელსაც "მალდორორის სიმღერების ეგზემპლარში" ჰქვია [როგორც ჩანს, მეტაფორულად მაინც, ეს მოკლე პროზაული ფრაგმენტი ლოტრეამონის წიგნის მინდვრებზე დაიწერა].

ყოველთვის მიზიდავდა იმის წარმოდგენა, რომ ერთი პოეტი მეორე პოეტის წიგნის თავის კუთვნილ ეგზემპლარში წერს საკუთარ ლექსს (და, გარკვეულწილად, განა ყველა პოეტი ამას არ შევრება?). როგორც ვიცით, მაგალითად, მარიო სანტიაგო პაპასკიაროს სჩვეოდა, თითქმის ყოველთვის სხვათა წიგნების მინდვრებზე საკუთარი ლექსების წერა; ან სულაც თავად ტექსტზე გადაწერა, და ამით, ალბათ, ერთგვარი

პალიმპსესტის შექმნა, როგორც - ის ფიგურა ჯერომ როთენბერგის ლექსში "პოეტების სამოთხე", რომელიც "წიგნს იღებს თაროდან და ზედ აწერს ტექსტით სავსე გვერდს". და მაინც, ამის გათვალისწინებითაც კი, ყოველდღე არ ხდება, რომ შენს ორ საყვარელ პოეტს შორის გაბმულ დიალოგს გადააწყდები.

კიდევ უფრო მიმიზიდა იმ აზრმა, რომ - თუმცა შესაძლოა, ეს ნაკლებ აშკარა იყოს - ჩემს მიერ ხსენებული დიალოგი კვლავ გვახსენებს, თუ რა ლაბირინთია სრულიად აბერიკათა პოეზიები, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ისიდორ დუკასი (ლოტრეამონი) მონტევიდეოდან იყო, პისარნიკი კი - ბუენოს აირესიდან.

მაგრამ ეს მიმართება ჩემთვის მეტად შორს მიდის, ვიდრე - ტვინის ახირებული სავარჯიშო გეოპოეტიკაში: საქმე ისაა, რომ ალეხანდრა პი-სარნიკი, რომელიც არგენტინაში დაიბადა 1936 წელს, ებრაელი ემიგრანტების ოჯახში, დარომელმაც, ისიდორ დუკასივით, პოეტური ფორმირების წლები პარიზში გაატარა, უმთავრესად სწორედ იმ ტრადიციის გამგრძელებელი და შემნახველია, რომელიც სრულებით არ იყო გლობალური პოეტური პრაქტიკის ეპიცენტრში 1960-70-იან წლებში, როდესაც კონცეპტუალიზმა და ფორმალურმა ექსპერიმენტალიზმა ძირებულად მოიცვა პოეტური ავან-გარ-

დი. ხოლო პისარნიკი ეკუთვნის ტრადიციას, რომელიც ორიგინალურია, ამდენად ყოველთვის არსებობდა და ყოველთვის, მეტ-ნაკლებად, მიჯნაზე. ეს ის "შხილველური" (voyant - რემბო) თუ "წყეული" (maudit - ვერლენი) პოეზიის ხაზია, რომელიც დიდ და უწყვეტ ქვედინებად გასდევს პოეტურ აქტს არქაული ზეპირ-სიტყვიერებიდან რადიკალურ სურრეალიზმამდე (ვგულისხმობ, ვთქვათ: არტო და არა დეს-ნოსი ან ელუარი) - ცხადია, რემბოს, ლოტრეა-მონის და სხვათა გავლით. ამ ტრადიციის შემნახავი და მაცოცხლებელი პოეტის პოზიციას ერთი არსობრივი სირთულე განსაზღვრავს: მისთვის გარდაუვალია ამ ხაზის მარად ხელახ-ალი რადიკალიზაცია; მაგალითად, თანამედ-როვე პოეტს მოუწევდა, წაეკითხა ბოდლერი და შეეცნო მთელი მისი რადიკალიზმი, იმის ნაცვ-ლად, რომ მიეღო იგი არსებული აკადემიური თუ ლიტერატურული წაკითხვების ნაყოფად. და ამასთან, არ უნდა გვეგონოს, რომ ვიზიონერი პოეტი რამენაირი "კურთხეული ველურია"; მისთვის პოეზია ყველაზე საშიში, ყველაზე სე-რიოზული თამაშია, და ამ თამაშის კაბალისტიკა საკრალურ ზრუნვას მოითხოვს მისგან. ამ-დენად, რა გასაკვირია, რომ თავად პისარნიკმა მოახდინა საკითხის (ჩემთვის) სანიმუშო შე-ჯამება, როდესაც დაწერა:

"ჰოლდერლინის მტკიცება, რომ "პოეზია საშიში თამაშია", რამდენიმე ცნობილ მსხვერ-პლშენირვაში ჰპოვებს ექვივალენტს, ესენია: ბოდლერის ტანჯვა, ნერვალის თვითმკლე-ლობა, რემბოს ნაადრევი დადუმება, ლოტრეა-მონის იდუმალი და ეფემერული ყოფნა, არტოს ცხოვრება და შემოქმედება..."

ეს პოეტები, და კიდევ რამდენიმე სხვა, იმ-ით არიან ერთურთთან დაკავშირებული, რომ გააქარნებულეს - ანდა სცადეს გაექარნებინ-ათ, - მანძილი, რომლითაც საზოგადოება აშო-რებს ხელოვნებას და ცხოვრებას".

პისარნიკმა, ცხადია, ზუსტად იცის, რომ ამ მსხვერპლშენირვათა რიცხვს მისი ცხოვრებაც მიეკუთვნება. და ისევე, როგორც არტომ - რო-მელსაც ის თარგმნიდა - მანაც შექმნა უნიკა-ლური შემოქმედება, რომელშიც არა მხოლოდ პოეზიასა და პროზას შორისაა წაშლილი საბო-ლოო ზღვარი, არა მარტო სხეულისა და გონებ-ის აქტივობებს, ცხოვრებასა და ხელოვნებას შორის, არამედ, ხშირად, და უნიკალურად, პოე-ზიასა და პოეტიკას შორის: პოეტური აქტი და ამ აქტის თვით-რეფლექსია თანადროულად მიმდინარეობს, ერთ ფორმატში. პისარნიკის მთელი მონიფული შემოქმედება, გარკვეულ-ნილად, არის "ars poetica", მისი ყველაზე ინ-ტიმური ლექსები, იმავე დროს, პოეტური პრო-

ცესის განაზრებებია. არაფერია აქ უჩვეულო: ასეთია წესი თამაშისა, რომელსაც პისარნიკი საკუთარი კანისა და სისხლის ფასად თამაშობს.

პოეზიის გული ცარიელია და თავად პოეზია იქცევა ამ არმყოფი გულის გამოხატულებად. პოეტს შეუძლია, ინატროს:

"მერჩივნა, ბლუზი მემღერა ნებისმიერ სი-
გარეტის ბოლით გაბუღულ პატარა ბარში, ვი-
დრე ჩემი ცხოვრების ღამეები შეძლილი ქალივ-
ით ენის კანვრაში მეტარებინა".

გარდა უშეალო ტკივილისა, მნიშვნელოვა-
ნია კანვრის ფენომენიც, რადგან პისარნიკი
ტვიფრავს ცარიელ ფურცელს, მას, როგორც
ქვას, აშორებს ზედმეტს. და ლექსი, თანდათა-
ნობით, უფრო და უფრო მინიმალური ხდება,
სანამ ბოლოს აღარც არის მთლად ლექსი. პის-
არნიკის პირველი სამი კრებული (დაწერილი 20-
23 წლის ასაკში) მეტ-ნაკლებად "საცნაურ"
ვერლიბრებს მრიცავს; ხოლო მისი უნიკალური
პოეზია სრულქმნილ ფორმას მისი მეხუთე
კრებულით აღწევს (1965 წელს - სიმპტომური
სათაურით "შრომები და ღამეები" - ანტიკურ
ჰესიოდურ დიდაქტიკურ ფორმულას რადიკალ-
იზებული სახე ეძლევა, წყეულ პოეტთა კომპა-
ნიისთვის); და ამ მომენტიდან მოყოლებული,
მისი ლექსი ფრაგმენტს ჰგავს, ნატეხს, ხან სი-
ცარიელს, ხან მცირე აგურს, ხან ჰაიკუს, ხანაც

დღიურის წყვეტილ ჩანაწერს. ამ მომენტიდან მისი ხმა სრულებით უნიკალურია, ლექსი, თავისი სიმცირით და ფორმალური სიმარტივით, გაუსაძლისად რთული ხდება. მგონა, რომ პისარნიკის პოეზის მთავარი თვისება სწორედ ესაა: ძნელია მას თვალი გაუსწორო, ძნელი - შეჩერდე ამ სიტყვებზე, ამ სტრიქონებზე.

თუკი სხვა მედიუმში პისარნიკის ლექსს ჰყავს ახლობელი, ვფიქრობ ყველაზე მეტად ეს ლურიო ფონტანას დასერილი ტილოებია.

"შრომებსა და ლამეებს" მოსდევს პოეტის ორი შედევრი, რომლებიც მისი შემოქმედების გულად მესახება: "სიგიურის ქვის გამოხდა" და "მუსიკალური ჯოჯოხეთი" - სათაურები ლაკონური მჭევრმეტყველებით გამოკვეთენ პოეზიის მხილველურ პროგრამას. ალქიმია და სინესთეზია: რემბოს სონეტი, ხმოვნები.

საკუთარ დღიურში ის წერს:

"რაც მაშინებს, არტოსთან ჩემი მსგავსებაა. ვგულისხმობ ჩვენეულ ჭრილობათა მსაგვსებას".

ორი შედევრი, რომელიც ვახსენე, კრებულები არაა, არამედ - ახალი ტიპის პოემები. თუკი მართლაც ჰგავს ეს პოეზია დღიურის ფორმატს, იქნებ - იმის გამო, რომ ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის ზღვარი სწორედ ამ ფორმატმა უნდა გააქროს: დღიურად წერილი პოეზია, როგორც ეპიკური კომპოზიციის სარჩული.

მკითხველი ყურადღებას მიაქცევს მოტივ-
თა, სახეთა გამეორებებს, რომლებიც, წლიდან
წლამდე, ლექსებს (ხანდახან ტავტოლოგიურ-
ად?) აკავშირებს ერთმანეთთან. ვფიქრობ,
პისარნიკის პოეტიკის ამ (და სხვა, ხსენებულ)
თავისებურებას ზედმინევნით გამოხატავს მი-
სივე სიტყვები:

პოემის
შუაგული
სხვა ლექსია
შუაგულის შუაგული
უმყოფობაა

"მუსიკალური ჯოჯოხეთი" რომ მისი უკა-
ნასკნელი კრებული არ ყოფილიყო, იქნებ პის-
არნიკა დაენერა კიდეც კრებული "დღიურები
და მეღამურები" (მითუმეტეს, თუ ყურს დავუ-
გდებთ, მის სიკვდილისშემდგომ გამოცემულ
ლექსებში, ზრდად და გულისმომკვლელ პირ-
ქუშ კომედიას, რომლის ბადალიც მხოლოდ არ-
ტოსა თუ ბეკეტის ხმებში მეგულება).

და "სიგიურის ქვის გამოხდა" ისეთივე მნიშ-
ვნელობის დოკუმენტია სიგიურის შესახებ, როგ-
ორც - არტოს როდეზის პერიოდის პოეზია. მი-
ზანი ერთია: პოეზიამ უნდა ამოავსოს ეს "ნათე-
სავი ჭრილობა", რომელიც ადამიანს ცხოვრებ-
ისგან აშორებს. პოეზია უნდა დაგეხმაროს -
იცხოვრო, ცხოვრებას დაუკავშირდე, შეერწყა
მას.

მაგრამ (მისი დღიურიდან):

"14 იანვარი, 1961, პარიზი. რემბო მესიზმარა / ლიტერატურით / მე დავკარგე ცხოვრება."

1972 წლის 25 დეკემბერს პისარნიკმა სეკონდალის ზედმეტი დოზით დაასრულა საკუთარი სიცოცხლე. ამ ბოლო წამს, ამ სულის ღამეში, ორი შეურიგებელი და, პოეზია და ცხოვრება, იქნებ, მართლაც ერთყმის ერთმანეთს - პოეტის ბოლო აქტი პოეზია იყო: მის სამუშაო ოთახში დაფაზე ეს ენერა ცარცით, მისი ბოლო ლექსი:

მუშტებს იქნევენ ჩრდილები
მკვდართა
შავი ჩრდილები

არაფერი მუშტები მხოლოდ

დატირილი გაისძა

არაფერი მუშტები მხოლოდ

ირაკლი ყოლბაია

ნიგნიდან შრომები და ლამები

ლექსი

შენ ირჩევ ჭრილობის ადგილს
სადაც ჩვენს მდუმარებას ვლაპარაკობთ.
შენ აქცევ ჩემს ცხოვრებას
ამ უსპეტაკეს დღესასწაულად.

გამოცხადებები

ღამით, შენს გვერდით,
სიტყვები გასაღებდებიან.
სიკვდილის სურვილი ხდება მეფე.

დაე შენი სხეული ყოველთვის იყოს
გამოცხადებათა ძვირფასი სივრცე.

შენს დაბადების დღეზე

მიიღე ეს სახე ჩემი, მდუმარე, მავედრებელი.
მიიღე ეს სიყვარული რომელსაც ვითხოვ.
მიიღე ეს ნაწილი ჩემში რომელიც შენ ხარ.

ნგრევები

...ამბორებაში და არა მიზეზებში
კიციდო

სიტყვებით დამმალე ამ ბრძოლისგან
და ჩააქვრე ჩემი ელემენტური სხეულის
მძვინვარება.

საყვარლები

ყვავილი
ღამის შორიახლოს
ჩემი მუნჯი სხეული
ეშლება
ცვრის ფაქიზ მყისიერებას

რომელიც ანათებს

როდესაც მიყურებ,
ჩემი თვალები გასაღებებია,
კედელი ინახავს საიდუმლოებს,
ჩემს შიშს - სიტყვები, ლექსები.
მხოლოდ შენ აქცევ ჩემს მესსიერებას
აღფრთოვანებულ მოგზაურად,
მარადმწველ ცეკველად.

ალიარება

შენ აქციე მთრთოლვარე იასამანთა დუმილი
ჩემს ტრაგედიად ქარისა გულში.
შენ აქციე ჩემი ცხოვრება საბავშვო ზღაპრად
სადაც დახრჩობა და სიკვდილი
წინაპირობებია სანუკვარი
დღესასწაულებისთვის.

შესველრა

ვიღაც სიჩუმეში შევიდა და მიმატოვა.
ახლა მარტოობა არაა მარტო.
შენ ლამესავით ლაპარაკობ.
წყურვილივით მევლინები.

ხანგრძლივობა

აქედან პნელი ღამით წავიდა
და მის სხეულს უნდა ეცხოვრა ამ ოთახში
რომელშიც ქვითინი, სახიფათო ნაბიჯები,
იმის, ვინც არ მოდის, მაგრამ აქაა მისი
მყოფობა
გამობმული ამ საწოლზე რომელშიც ქვითინი
რადგან სახე იძახის,
სიბნელეს მორგებული,
ძვირფასი ქვა.

შენი ხმა

ჩასაფრებული ჩემს ნაწერებში
შენ მღერი ჩემს ლექსში.
მე ტყვე შენი ტკბილი ხმის
აღბეჭდილის ჩემს მეხსიერებაში.
ჩიტი დაჟინებით მფრენი.
ჰაერი არყოფნით ტატუირებული.
საათს დრო უცემს ჩემთან ერთად,
რომ არასდროს გავიღვიძო.

დავინცება

ღამის მეორე ნაპირას
სიყვარული შესაძლებელია

- წამიყვანე იქ-

წამიყვანე იმ ტკბილ რაობებში
შენს მეხსიერებაში რომ კვდებიან ყოველდღე

დაკარგული ნაბიჯები

სანამ ნათელი იდგა
ჩემს ენაში სიყვარულიდან
რამდენიმე ნაბიჯში რომ იშვა.

ღამე ღია. ღამე თანამყოფი.

შენოვის სახელის დარქმევა

არა ლექსი შენს არყოფნაზე,
ნახატი მხოლოდ, ნაპრალი კედელში,
რაღაცა ქარში, მწარე გემო.

გამომშვიდობება

საკუთარ ნათელს კლავს მიგდებული
ცეცხლი.
გალობას იმაღლებს შეყვარებული ჩიტი.
ამდენი ხარბი არსება ჩემს მდუმარებაში
და ეს ციცქა წვიმა რომელიც თან მსდევს.

შრომები და ლამენტი

რათა ამომეცნო წყურვილში ჩემი ემბლემა
რომ აღენიშნა უცალო სიზმარი
მეტად რომ აღარ მეკვება თავი სიყვარულით

მე ვიყავი მთელი შეწირულობა
მგლის წმინდა ხეტიალი
ტყეში
სხეულების ლამეს

რათა მეთქვა უმწიკლო სიტყვა

მისი არყოფნის მნიშვნელობა

თუკი ვძედავ
ვიყურო და ვიღაპარაკო
იმის გამოარომ მისი ჩრდილი
ასე ფაქტზად გამოება
ჩემს სახელს
შორს აქედან
წვიმაში
ჩემს მოგონებაში
მისი სახისთვის
რომელიც იწვის ჩემს პოემაში
ლამაზად ფანტავს
ძვირფასი გამქრალი სახის
სურნელს

მწვანე სამოთხე

უცხო რომელიც ვიყავი
როდესაც შორეული სინათლეების მეზობლად
შევაგროვე მეტისმეტად წმინდა სიტყვები
ახალ სიჩუმეთა შესაქმნელად

ბავშვობა

უამი როდესაც ბალაზი იზრდება
ცხენის მეხსიერებაში.
ქარი წარმოთქვამს უბინო სიტყვებს
შროშანების საპატივცემულოდ,
და ვიღაც აბიჯებს სიკვდილში
თვალგახელილი
როგორც ალისი უკვე ნანახის მხარეში.

განამ

მუსიკალური ტყე

ჩიტები დამახატავდნენ თვალებზე
ციცქანა გალიებს

განთიადი

შიშველს მესიზმრება მზიანი ღამე.
მე ვიწექი ცხოველი დღეების მანძილზე.
ქარმა და წვიმამ წამშალეს
როგორც ცეცხლს წაშლიდნენ, ანდა ლექსა
დაწერილს კედელზე.

საათი

ერთი ციცქნა ქალბატონი
რომელიც ჩიტის გულში ცხოვრობს
მწუხრის ჟამს გადის ერთი მარცვლის
წარმოსათქმელად
არ

საკუთარი თავისგან გასაქცევ ადგილას

სივრცე. ხანგრძლივი მოლოდინი.
არავინ მოდის. ეს ლანდი.

მიეცი რასაც ყველა აძლევს:
პირქუში მნიშვნელობები,
გაუკვირვებლები.

სივრცე. მწველი მდუმარება.
რას აძლევენ ჩრდილები ერთმანეთს?

ფუჭი საზღვრები

ადგილი
არ მითქვამს სივრცე
მე იმაზე ვლაპარაკობ
რაც
ვლაპარაკობ იმაზე რაც არ არის
ვლაპარაკობ იმაზე რაც ვიცი

არა დროზე
არამედ ყველა წამზე
არა სიყვარულზე
არა
კი
არა

არყოფნის ადგილი
ბეჩავი კავშირის ძაფი

არსებულის გული

ნუ გადამცემ,
უნაღვლიანესო შუაღამეო,
შუადღის უსუფთაო სითეთრეს

დიდი სიტყვები

ჯერ არაა ახლა
ახლა არასდროსაა

ჯერ ახლა არაა
ახლა და მარად
არასდროს არის

მდუმარებები

სიკვდილი მარად ჩემს გვერდით.
ვუსმენ რასაც მეუბნება.
მხოლოდ საკუთარი ხმა მესმის.

სიჩუმეს მოვითხოვ

თუმცა გვიანია, დამეა,
და შენ არ ძალგიძს.
იმდერე ისე თითქოს არაფერი ხდებოდეს.
არაფერი ხდება.

ნიგნილან სიგიჟის ქვის გამოხდა

ლამის მომღერალი ქალი

ეძღვნება ოლგა ოროსკოს

Joe, macht die Musik von damals nach...*

ის, რომელიც საკუთარი ლურჯი კაბისგან მოკვდა, მღერის. ის მღერის, სიკვდილით ნაღები, უმღერის საკუთარი თრობის მზეს. მისი სიმღერის შიგნით არის ლურჯი კაბა, არის თეთრი ცხენი, არის მწვანე გული, ტატუირებული მისივე მომკვდარი გულის ცემათა ექოებით. გაეცნო რა ყოველგვარ კარგვას, ის მღერის მანანალა გოგონას გვერდით, რომელიც თავადაა: მისი თილისმა ილბლისათვის. და მიუხედავად მწვანე ნისლისა ტუჩებზე და ნაცრისფერი სიცივისა თვალებში, მისი ხმა სანსლავს სიშორეს, რომ დაღებულა წყურვილსა და ჭიქის მაძიებელ ხელს შორის. ის მღერის.

* ავტორი მცდარად ციტირებს ბ. ბრეხტის სტრიქონს: “Joe, mach die Musik von damals nach”.

**თავბრუსხვევა,
ანუ სასრულ რამეთა განაზრება**

უფოთლოვდება ეს იასამანი.
საკუთარი თავიდან ვარდება
და საკუთარ არქაულ ჩრდილს ეფარება.
მომკლავს ასეთი რამეები.

ყრუ ფარანი

უმყოფენი ბოლავენ და ღამე სქელია. ღამე
მკვდრის ქუთუთოთა ფერია.

მთელი ღამის მანძილზე ღამეს ვქმნი. მთე-
ლი ღამე ვწერ. სიტყვა-სიტყვა ვწერ ღამეს.

პრივილეგია

I.

დაკარგულია უკვე სახელი, რომელიც მერქვა,
მისი სახე გარს დამტრიალებს
ვითარცა წყლის ხმები ღამით,
ხმები წყალში ვარდნილი წყლისა.
და უკანასკნელი გადარჩენილი მისი ღიმილია
და არა - ჩემი მესაიერება.

II.

შენ, ყველაზე ლამაზო,
იმათი ღამით ვინც წავიდა
ო, ნასურვებო,
უბოლოოა შენი დაუბრუნება,
ჩრდილო, შენ, ვიდრე დღეთაგან დღემდე.

ლამე გულისა

შემოდგომაო კედლის სილურჯეში: ნუგეში
ეცი პატარა მკვდარ გოგონებს.

ყოველდამ, ერთი კივილის მანძილზე,
ხელახალი ჩრდილი მეცხადება. მარტო
ცეკვავს, ის, ცალკეული იდუმალი. მე
ვიზიარებ მის მეტად ნორჩი ცხოველის შიშს
ნადირობის პირველი ლამისას.

ზამთრის ზღაპარი

ქარის ნათელი ატანს ფიჭვებში; მესმის კი
მოკაშკაშე სევდის ეს ნიშნები?

ჩამომხრჩვალი ქანაობს იასამნის ჯვრით შე-
მკულ ხეზე.

სანამ არ შეძლებს, დაუსხლოეს ჩემს სიზმ-
არს და ჩემს ოთახში შემოაღწიოს, ფანჯრიდან,
შუალამის ქართან შეთქმული.

ნატეხები მდუმარების სამართავაზ

I.

ენის ძალები მარტოსული ქალბატონები არ-იან, უპატრონოდ მიტოვებულნი, რომლებიც ჩემი ხმის გავლით მღერიან, ხმის, რომელიც შორიდან მესმის. და მოშორებით, შავ ქვიშაში, წევს გოგონა, წინაპართა მუსიკით დამძიმებული. სადაა ჭეშმარიტი სიკვდილი? მე ვისურვე ნათელი ჩემთვის, სინათლე ჩემი უსინათლობისთვის. თაიგულები უკვდებიან მეხსიერებას. მწოლიარე გოგონა საკუთარი მგლის ნიღბით იბუდებს ჩემში. ის, რომელსაც მეტი აღარ შეეძლო და ალებს ივედრებოდა და რომელსაც ჩვენ ცეცხლი წავუკიდეთ.

II.

როდესაც ენის სახლს ჭერი ეხდება და სიტყვები აღარ გუშაგობენ, მე ვმეტყველებ.

ქალები წითლებში იკარგებიან საკუთარი ნიღბების უკან, მაგრამ დაბრუნდებიან, რათა ყვავილებს შორის იქვითინონ.

სიკვდილი მუნჯი არაა. მესმის, როგორ ბეჭ-
დავს მგლოვიარეთა სიმღერა მდუმარების ნაპ-
რალებს. ვუსმენ და შენიუტკბესი ტირილი ფუ-
რჩქნის ჩემს რუს მდუმარებას.

III.

სიკვდილმა ალუდგინა მდუმარებას მისი მო-
მაჯადოებელი პრესტიჟი. და მე არ ვიტყვი ჩემს
ლექსს და ვიტყვი მას. თუნდაც ამ ლექს (აქ,
ახლა) არ ჰქონდეს მნიშვნელობა, არც ბედი.

სიზმარი რომელშიც დუმილი ოქროა

ზამთრის ძაღლი მიღრღნიდა ღიმილს. ხიდზე. შიშველი ვიყავი და ყვავილებიანი ქუდი მეხურა და დავათრევდი ჩემს აგრეთვე შიშველ გვამს, რომელსაც გამხმარყვავილებიანი ქუდი ეხურა.

მრავალი სიყვარული მქონდა, ვთქვი ჩემთვის, მაგრამ მათგან ყველაზე მშვენიერი ჩემი სარკეებისადმი სიყვარული იყო.

Tête de Jeune Fille (ოდილონ რედონი)

ანდრე პიერ დე მანდიარგს

მუსიკის ეს წვიმა
მდუმარების ეს წლები
გავიდეს ღამე
ჩემი სხეული მეტად აღარასდროს
იქნება ნაცნობი

მუსიკის დაპირებები

თეთრი კედლის უკან, ცისარტყელის ნაირ-სახეობა. თოვეინა, თავის გალიაში, შემოდგო-მას ქმნის. ეს მსხვერპლშენირვათა გამოღვი-ძებაა. ახალქმნილი ბალი, ქვითინი მუსიკის უკ-ან. და დაე მარად გაისმას, რათა არავინ დაესწ-როს შობის ძვრებს, ანდა მსხვერპლშენირვის ბაზვას, საუბარს ქალისა, რომელიც მე ვარ, მიბ-მული ამ მდუმარეს, რომელიც, აგრეთვე, მე ვარ. და დაე აღარჩა დარჩეს ჩემგან გარდა სიხ-არულისა იმის, ვინც ითხოვა შესვლა და შეუ-შვეს. მუსიკაა, სიკვდილი, რომლის ნარმოთქ-მაც ვინატრე, ტყის ფერთა მსაგვსად ნაირსახა ღამეობით.

უწყვეტობა

არ უწოდო საგნებს თავისინთი სახელები. სა-
გნებს დაკბილული კიდეები აქვთ, მდიდრული
გამწვანება. მაგრამ ვინ საუბრობს თვალებით სა-
ვსე ოთახში. ვინ კბილობს ქაღალდისგან ქმნი-
ლი პირით. მომავალი სახელები, ჩრდილები ნი-
ღბებით. განმკურნე ამ სიცარიელისგან, ვთქვი.
(ნათელს თავი მოსწონდა ჩემს წყვდიადში. ვი-
ცოდი, არ იყო, როდესაც ჩემი ნათქვამი მომეს-
მა: მე ვარ.) განმკურნე, ვთქვი მე.

სარკის ბილიკები

I.

და, რაც მთავარია, უცოდველად იყურო. ისე,
თითქოს არაფერი ხდებოდეს, რაც ნამდვილად
ასეა.

II.

მაგრამ შენ მსურს, გიყურო მანამ, სანამ შენი¹
სახე არ გაეცლება ჩემს შიშს, როგორც ჩიტი
ღამის ბასრ პირს.

III.

როგორც ვარდისფერი ცარცის გოგონა მეტის-
მეტად ძველ კედელზე, წვიმის მიერ უეცრად
წაშლილი.

IV.

როგორც როდესაც ყვავილი იშლება და
ამჟღავნებს გულს რომელიც არ აქვს.

V.

ჩემი სხეულისა და ხმის ყოველი ჟესტი, რათა
ძლვნად მაქციონ, ტოტად, ქარმა რომ მიატოვა
ზღურბლზე.

VI.

დაფარე შენი სახის მეხსიერება იმის ნიღბით
ვინც იქნები და განაფრთხე გოგონა რომელიც
იყავი.

VII.

ორივეს ლამე ნისლით გაიფანტა. ეს ცივისაკვე-
ბის ჟამია.

VIII.

და წყურვილი, ჩემი მეხსიერება წყურვილისაა,
მე დაბლა, ფსკერზე, ჭაში, მე ვსვამდი, მახს-
ოვს.

IX.

და ეცე, როგორც დაჭრილი ცხოველი, იქ, სადაც

გამოცხადებების ადგილი იყო.

X.

როგორც ის, ვისაც არაფერი სურს. სულ არა-ფერი. პირამოკერილი. ქუთუთოებამოკერილი. საკუთარი თავი დამავიწყდა. შიგნით ქარია. ყველაფერი ჩარაზული და შიგნით ქარი.

XI.

მდუმარების შავ მზეში სიტყვები მოოქრულან.

XII.

მაგრამ მდუმარება ცხადია. ამისთვის ვწერ. მარტო ვარ და ვწერ. არა, არ ვარ მარტო. არის აქ ვიღაც, ვინც თრთის.

XIII.

რომც ვთქვა მზე და მთვარე და ვარსკვლავი, ვგულისხმობ იმათ, რაც მე მემართება. და მე რა მსურდა? მსურდა სრული სიჩუმე.

ამისთვის გმეტყველებ.

XIV.

დამეს მგლის ყმუილის ფორმა აქვს.

XV.

წინასწარ განჭვრეტილ სურათში დაკარგვის სი-
ამე. მე წამოვდექი ჩემი გვამიდან, მე წავედი
იმის საძებნელად, ვინც ვარ. პილიგრიმი ჩემი
თავისგან, გავეშურე იმისაკენ, რომელსაც ქარ-
პირა მხარეში სძინავს.

XVI.

ჩემი უსასრულო დაცემა ჩემს უსასრულო დაცე-
მაში, სადაც არავინ მელოდა, რადგან რომ შევ-
ხედე იმას, ვინც მელოდა, ვერ ვიხილე ვერაფე-
რი ჩემი თავის გარდა.

XVII.

რაღაც დაეცა მდუმარებაში. ჩემი უკანასკნე-
ლი სიტყვა იყო მემაგრამ ვიგულისხმე მანათო-
ბელი განთიადი.

XVIII.

ყვითელი ყვავილები ლურჯი მიწის წრეს ათანა-
ვარს კვლავედებენ. წყალი, ქარით სავსე, ცახ-
ცახებს.

XIX.

დღის თვალისმომჭრელობა, ყვითელი ჩიტები
დიღით. ხელი სიბნელეს ნასკვავს, ხელი მიათრ-
ევს დამხრჩვალი ქალის თმას, რომელიც არ
წყვეტს სარკეში მიმოსვლას. სხეულის მეხ-
სიერებასთან დასაბრუნებლად, უნდა დავუძ-
რუნდე ჩემს მგლოვიარე ძვლებს, უნდა გავი-
გო, რას ამბობს ჩემი ხმა.

ნიგნილან მუსიკალური ჯოჯონეთი

Cold in Hand Blues

და რა არის ეს რის თქმასაც აპირებ
მხოლოდ რაღაცის თქმას ვაპირებ
და რა არის ეს რის ქნასაც აპირებ
ენაში ვაპირებ დამალვას
და რატომ
მეშინია

ქვაკუთხედი

არ შემიძლია, ჩემი ხმით ვილაპარაკო, მხო-
ლოდ - ჩემი ხმებით.

მისი თვალები ტაძრის შესასვლელი იყო,
ჩემთვის, მოხეტიალისთვის, რომელსაც უყ-
ვარს და კვდება. და ვიმღერებდი სანამ ღამეს
არ შევერწყმოდი, სანამ არ განვიქმნებოდი,
შიშველი, ტაძრის შესასვლელთან.

სიმღერა, რომელსაც ვკვეთ, როგორც გვი-
რაბს.

შემაწუხებელი მყოფობები,
ჟესტები ფიგურების, რომლებიც ცოცხლად
გვევლინებიან იმ აქტიური ენის მუშაობით, მათ
რომ ემოწმება,
ნიშნები, უხსნარ შიშებზე რომ მიგვანიშნე-
ბენ.

საძირკვლების ვიბრაცია, საფუძვლების
ცახცახი, წვეთა და ბურღვა,

და ვიცოდი სად ბინადრობს ის, ამდენად
სხვა, რომელიც არის მე, რომელიც იცდის, რო-
დის მოვკეტავ, რათა შემიპყროს და აშროს და
ბურღლოს საძირკვლები, საფუძვლები,
ის, რომელიც მეწინააღმდეგება ჩემს შიგ-
ნიდან, შეთქმული, იხელთებს ჩემს ვერან მი-
წას,

არა,
რამე უნდა ვიღონო,
არა,
არ უნდა ვიღონო არაფერი,

რაღაც ჩემში არ ნებდება ფერფლის შადრე-
ვანს, რომელიც შიგნიდან მანგრევს იმით, რო-
მელიც არის მე, ჩემით, რომელიც ვარ ის და რო-
მელიც ვარ მე, მისგან ენით აღუნერლად განს-
ხვავებული.

იმავე მდუმარებაში (და არა თვით მდუმარე-
ბაში) გადაყლაპო ღამე, ღამე უსაზღვრო, ჩაძი-
რული დაკარგული ნაბიჯების მაღულობაში.

არ შემიძლია ვიღაპარაკო არაფრის სათქმე-

ლექსი, ფუჭმცდელობაში, გადმოვწეროთ მხუ-
რვალე კავშირები.

სად მიჰყავს ის ამ ნაწერს? შავში, უნაყოფო-
ში, დანაწევრებულში.

თოჯინები, გამოშიგნული ჩემი ანტიკური
თოჯინის ხელებით, სუფთა სატენის პოვნის იმ-
ედგაცრუება (შენი მეხსიერება, სუფთა ტრა-
მალი): მამა, რომელიც, ალბათ, ტირესიასი იყო,
მდინარეში ტივტივებს. მაგრამ შენ, რატომ მი-
ეცი ნება, მოეკალით, სანამ თოვლიანი ვერხ-
ვების ამბებს უსმენდი?

მე მსურდა, ჩემს თოჯინას თითებს შეეღწი-
ათ გასაღებებში. მე არ მსურდა, შევხებოდი
კლავიშებს, როგორც ობობა. მე ჩაძირვა მსურ-
და, თავის მილურსმვნა, თავის გამობმა, განამ-
არხება. კლავიშებში შესვლა მსურდა, რათა შე-
მეღწია მუსიკის შიგნით რათა მეონოდა სამშობ-
ლო. მაგრამ მუსიკა იძვროდა, ქროდა. მხოლოდ
მისამდერის ხელახალი წამოწყებისას ღვივდე-
ბოდა ჩემში იმედი, რომ წარმოიქმნებოდა რა-
ღაც მატარებლების სადგურის მსგავსი, ვგუ-
ლიხმობ: მყარი ამოსავალი წერტილი, ადგილი-

დან, ადგილისკენ, ადგილთან კავშირში, მასთან შერწყმული. მაგრამ მისამლერი მეტისმეტად ხანმოკლე იყო, იმდენად, რომ მე ვერ შევძელი სადგურის აღმართვა, რადგან ვერ მექნებოდა ერთ საკმაოდ ლიანდაგსამცდარ მატარებელზე მეტის იმედი, რომელიც მრუდდებოდა და იპრიცებოდა. მაშინ მივატოვე მუსიკა და მისი ვერა-გობები, რადგან მუსიკა იყო მუდამ მეტისმეტად მაღლა ან მეტისმეტად დაბლა, მაგრამ არასდროს ცენტრში, არა შერწყმისა და შეყრის ადგილას. (შენ, რომელიც იყავი ჩემი უცალო სამშობლო, სადღა გეძებო? იქნებ ამ ლექსში, რომელსაც ვწერ.)

ერთ ღამეს, ცირკში, აღმიდგა დაკარგული ენა, იმ წამს, როდესაც მხედრებმა, ჩირალდნებით ხელში, მძვინვარე წრეზე გააჭენეს თავიანთი შავი რაშები. ჩემს უნეტარეს სიზმრებშიც კი არ იარსებებს ანგელოზების გუნდი, რომელიც მიაწვდის ჩემს გულს ამ მხურვალე ბგერათა მსგავსებას, ფლოქვები რომ გამოსცემდნენ ქვიშებზე.

(და მითხრა: დაწერე; რამეთუ ეს სიტყვები სარწმუნოა და ჭერმარიტი.)

(კაცი ან ქვა ან ხეა, ვინც დაიწყებს სიმღე-
რას...)

და ეს იყო სათუთად მთრთოლვარე ურუანტ-
ელი (ამას ვამბობ, რათა ვასწავლო იმას, მცდა-
რად რომ მოათავსა ჩემში თავისი მუსიკალუ-
რობა და უფრო დისონანსურად თრთის, ვიდრე
უცხო ქვეყნის ქვიშებში ჩირალდნით წაქეზებ-
ული ცხენი.)

იატაკს ვეკვროდი, სახელს ვიძახდი. მწამ-
და, რომ მოვკვდი და რომ სიკვდილი სახელის
თქმა იყო, უსასრულოდ.

ეს არ არის, იქნებ, რისი თქმაც მსურს. ეს
თქმა და თვით-თქმა საამური არაა. არ ძალმიძს
ჩემი ხმით ლაპარაკი, მხოლოდ ჩემი ხმებით. ან
კიდევ ეს ლექსი, შესაძლოა, იყოს მახე, მორიგი
დადგმა.

როდესაც გემმა რიტმი იცვალა და სასტიკ
წყლებზე იწყო რყევა, მე წამოვდექი როგორც
ამაზონი, რომელსაც მხოლოდ თავისი ლურჯი
თვალები ყოფნის ყალყზე დამდგარი ცხენის
დასამორჩილებლად (ან იქნებ მიზეზი მისი ლუ-

რჯოთვალები არ იყო?) მწვანე წყალოჩემს სახ-
ეზე, უნდა გსვა, ვიდრე დამე არ გაიღება. ვერ-
ავინ მიხსნის, რამეთუ ვარ უხილავი ჩემივე
თავისთვისაც კი, რომელსაც ვეძახი შენი ხმით.
სად ვარ? ბაღში.

აი, ბაღი.

მუსიკალური ჯოჯონეთი

მზებით მირტყამენ

აქ არაფერი არაფერს ეწყვილება

და ამდენი მკვდარი ცხოველით ჩემი მეხსი-
ერების ბასრი ძვლების სასაფლაოზე

და ამდენი ყვავისებრი მონაზვნებით ჩემს
ფეხებს შორის სანისკარტებლად რომ მოისწრა-
ფიან

მანაფლეთებს ამ ნაწყვეტთა რაოდენობა

უსუფთაო გასაუბრება

სასოწარკვეთილი განდევნა ვერბალური მა-
ტერიიდან

საკუთარ თავთან განთავისუფლებული

საკუთარ თავში წყალწალებული

მალდორორის სიმღერების ეგზემპლარში

ჩემი კაბის ქვეშ იწვოდა ყვავილების მდე-
ლო, მხიარული, როგორც შუალამის ბავშვები.

სინათლე უბერავს ჩემს ძვლებში, როდესაც
ვწერ სიტყვას "მიწა". სიტყვა ან მყოფობა, რო-
მელსაც კეთილსურნელოვანი ცხოველები სდე-
ვენ; საკუთარი თავივით სევდიანი, თვითმკვ-
ლელობასავით მშვენიერი; ის მიფრინავს ჩემს
თავსზემოთ, როგორც მზეთა დინასტია.

მაკურნებელი სიტყვა

იმის იმედით, რომ ენა მიწიდან ამოთხრის სამყაროს, ვიღაც უმდერის ადგილს, რომელიც მდუმარებაში იძენს სახეს. მოგვიანებით გაირკვევა, - ის, რომ საკუთარ მძვინვარებას გამოხატავს, არ ნიშნავს რომ ზღვა არსებობს, ანდა სამყარო. ისევე, როგორც სიტყვა ამბობს იმას, რასაც ამბობს და, ამის მიღმა, რაღაც მეტს, რაღაც სხვას.

უხილავისანი

რათა სიტყვებმა არ იკმარონ, საჭიროა, გულ-ში რაღაც მოკვდეს.

ენის ნათელი მფარავს, როგორც მუსიკა, უნ-უგეშებელი ძალლების მიერ დაფლეთილი სუ-რათი, და ზამთარი მწვდება, როგორც ქალი, რომელსაც კედელი შეუყვარდა.

ზუსტად მაშინ, როდესაც ვიმედოვნებდი, უკან მოვიტოვებდი იმედს, მოხდა შენი დაცე-მა ჩემში. ახლა მეტი აღარაფერი ვარ, მხოლოდ ეს შიგნით.

წყალთა სიბნელე

ვუსმენ წყლის ხმას ჩემს სიზმარში რომ ეცემა. სიტყვები ეცემა როგორც წყალი მე ვეცემი. ჩემი თვალების ფორმას ვხატავ ჩემს თვალებში. ვცურავ ჩემს წყლებში, ჩემს მდუმარებებს ვაუნყებ ჩემს თავს. მთელი ღამე ვიმედოვნებ, რომ ჩემი ენა შეძლებს, ფორმა მომცეს. და ვფიქრობ ქარში, რომელიც მომდის, ჩერდება ჩემში. მთელი ღამე ვიარე სახელუდებელი წვიმის ქვეშ. მე მომეცა მდუმარება სავსე ფორმებით და ხილვებით (ამბობ). და შენ გარბიხარ, უნუგეშებელი, როგორც ეული ჩიტი ქარში.

სრული დანაკარგი

გრძელებანი წარმოიქმნება ახალი გულიდან ლექსისა, რომელიც არავის მიემართება. ვმეტყველებ ხმით, რომელიც ხმის მიღმაა და გამოცემ დატირების მაგიურ ბგერებს. ლურჯმა მზერამ შემოსა ჩემი ლექსი ნიმბით. ცხოვრებაო, ჩემო ცხოვრებაო, რა უყავი ამ ცხოვრებას ჩემსას.

პოეტის გარდაცვალების მარე გამოცემული ლექსები

ამაღამ, ამ სამყაროში

ეძღვნება მართა ისაბეჭ მოიას

ამაღამ ამ სამყაროში
სიტყვები სიზმრის ბავშვობის სიკვდილის
არასდროს ის რისი თქმაც გსურდა
მშობლიური ენა კასტრირებული
ენა შემეცნების ორგანოა
მარცხისა ყოველი ლექსის
საკუთარი ენისგან კასტრირებული
რომელიც ხელახლა ქმნის ორგანოა
ხელახლა შეცნობის
მაგრამ არა მკვდრეთით აღდგომის
უარყოფითი ფორმის საგნის
ჩემი ჰორიზონტის მაღლორორისა თავისი
ძალლით

და არაფერია დაპირება
თქმადის სფეროში
რომელიც ტყუილს უტოლდება

(ყოველივე რაც თქმადია არის ტყუილიც)
დანარჩენი მდუმარებაა
ოღონდ მდუმარება არ არსებობს

არა
სიტყვები
არ სიყვარულობენ
ისინი არამყოფობენ
თუ ვიტყვი წყალი დავლევ?
თუ ვიტყვი პური შევჭამ?

ამაღამ ამ სამყაროში
გასაოცარი მდუმარება ეს ამა ღამის
სულის ამბავი ისაა რომ თავის თავს ვერ
ხედავს
გონების ამბავი ისაა რომ თავის თავს ვერ
ხედავს
სამშვინველის ამბავი ისაა რომ თავის თავს
ვერ ხედავს
საიდან მოდის ეს უხილაობათა შეთქმულება?
ერთი სიტყვაც კი არ იხილება

ჩრდილები
მწებვარე ზღუდეები სიგიჟის
ქვას რომ მაღავენ

შავი დერეფნები
ყველა მათგანი მაქვს გავლილი
ორად არ დაგვირჩებოდი სულ ოდნავ
მეტხანს!

ჩემი პირი დაჭრილია
ჩემი მხოლობითის პირველი პირი

მე ისე ვწერ როგორც ბნელში მომარჯვებული
დანა
ვწერ ისე როგორც ვამბობ
სრული გულწრფელობა განაგრძობდა
შეუძლებლობას
ორად არ დაგვირჩებოდი სულ ოდნავ
მეტხანს!

სიტყვათა ჩამოშლა
ენის სასახლის მაუსახლებელი
შემეცნება ფეხებს შორის
რა მოუხერხე სექსის ნიჭს?
ო ჩემი მკვდრები
ვჭამე ისინი დავიხრჩვი მათით
მეტად აღარ შემეძლო მეტი აღარ შეძლება

დახშული სიტყვები

ყველაფერი სხლტის
ბნელ გათხევადებაში

და მალდორორის ძალლი
ამაღამ ამ სამყაროში
სადაც ყველაფერი შესაძლებელია
გარდა
ლექსისა

მე ვმეტყველებ
ცოდნით რომ საქმე ეს არაა
ო დამეხმარე დავწერო ყველაზე არასაჭირო
ლექსი
ის რომელიც გამოუსადეგრობისთვისაც
კი ვერ გამოდგება
დამეხმარე დავწერო სიტყვები
ამაღამ ამ სამყაროში

მოკლე კანტონები

1.

არავინ მიცნობს მე ღამეს ვმეტყველებ
არავინ მიცნობს ჩემს სხეულს ვმეტყველებ
არავინ მიცნობს მე წვიმას ვმეტყველებ
არავინ მიცნობს მე მკვდრებს ვმეტყველებ

2.

სიტყვები ოდენ
ბავშვობის
სიკვდილის
სხეულთა ღამეების

3.

პოემის
შუაგული
სხვა ლექსია
შუაგულის შუაგული
უმყოფობაა

უმყოფობის შუაგულში

ჩემი ჩრდილია შუაგული
ლექსის შუაგულის

4.

ჩიტის ძვლებისგან დამზადებული თოჯინა
მიუძღვნის კეთილსურნელოვან ძალებს
ჩემივე სიტყვებისა რომლებიც მიბრუნდებიან

5. ჟანს

შემოდგომის
მხილველთა
აგონია

6.

ნაპრალები კედლებში
შავი გრძნეულებები
გატყავებული ფრაზები
საბედისწერო ლექსები

7.

ნაპრალს სიმღერით ავსებ.
სიბნელეში დამხრჩვალი ქალივით იზრდები.

ო მეტი და მეტი სიმღერით ფარე ეს ბზარი, ეს
ნაპრალი, ეს ნახეთქი.

8.

მკვდართა შუადღეს
პრინცესაადგილუმზეო
ჭამს ნარშავს
ჭამს ხინვებს

9.

ჩემი ცისკრისუამს ჩაძინებულის სიმღერა
მართლა ეს იყო განა?

10.

ის ვისაც ვუყვარვარ იშორებს ჩემს
ორეულებს,
აღებს
ღამეს, ჩემო სხეულო,
შენ სიზმართა სახილველად,
ჩემო მზეო ან სიყვარულო

11.

ო თვალები შენი

ალმოდებული თვალები

12. ალენ ვერმონს

ჩემი გონების ყვავები
მისი ძვირფასი სხეულის პირას

ღამის დიადი სიცივეა
სიშავე

ვნება ჩვენს უფალთა
სურვილთა

13.

აკვიატება
ბავშვური თქმულება
ნაპრალი

მზე
როგორც დიდი ბნელი ცხოველი

მე და მეტი არაფერი
სათქმელი არაფერი

14.

რაა ეს სივრცე რომლადაც ვიქცევით
აკვიატება
ბალლური თქმულება

ვიდრე არ დადგება ახალი წესრიგი
ჩვენ ტრფობას არ ვიმღერებთ
ვიდრე არ დადგება ახალი წესრიგი

15.

გოგონა რომელიც ნაცრისფერ ქარებში
მწვანე ქარებში იცდიდა

16.

სარკეებით ილაპარაკებს
სიბნელით ილაპარაკებს
ჩრდილებით
არაფრით

17. დიანას

გვასწავლე ცხოვრებისა

ნატიფად
შევევედრეთ ციცქნა არსებებს
და მკლავები გავუშალეთ
სხვა სანაპიროს სიყვარულისთვის

18.

ნარეკლი სიტყვები რომლებიც
თვითმეტყველებენ
ლექსებში რომლებიც არ ტივტივებენ მე
ზღვადვირიყები
ჩემში ყოველივე თვითითქმის საკუთარი
ჩრდილით
და ყოველი ჩრდილი თავისივე ორეულით

19.

ნაღვლიანი მუსიკა
ახალ ჰანგს უკრავს
ახალი რამის შესაქმნელად
ახალი რამის დასანახად

ჩანაცერები პოეზიაზე

რა არის პოეზიის მნიშვნელობა დღევანდელ
სამყაროში?

1

ჩვენ გვჭირდება ადგილი, სადაც შეუძლებელი
შესაძლებელი ხდება. სწორედ ლექსია ადგ-
ილი, სადაც შესაძლებლის საზღვარი არღვევს
კანონსა და წესრიგს და რისკზე მიდის.

2

პოეტს სხვა მხრიდან მოაქვს ახალი ამბები.
ის აკრძალულის დესპანი თუ წარმომადგენე-
ლია, რადგან ის ალგვძრავს სამყაროს საოცრებ-
ათა - ისევე, როგორც სიგიჟისა და სიკვდილის -
კონფრონტაციისკენ.

პოეზიის მოყვარულთა ერთი ციცქნა საიდუმ-
ლო საზოგადოების მიღმა, ყველას ეშინია იმის
აღიარება, რომ პოეზიასთან შეხვედრას მისი

განთავისუფლება შეუძლია. რისგან განთავისუფლება? მაგრამ ესეც ყველასთვის ცნობილია.

*

(12 დეკემბერი)

მწერლობა, რომელიც დატვირთულია, სავსე საშიშროებითა და ხიფათით - გამომდინარე მისივე მოზღვავებული გამჭვირვალეობიდან; სრულიად კონკრეტული; დისპროპორციულად მატერიალური, რამდენადაც ის ავლენს სახე-სატებს, რომლებიც ყველაზე შორეულ, უცნობ და მოულოდნელ შინაგან ჩრდილებში იღებენ სათავეს.

მწერლობა, რომელიც აუტანლად მკვრივია, ხრჩობამდე, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ "ძლივსშესამჩნევი კავშირებისგანაა" ქმნილი, რომელსაც ძალუძს, განაპირობოს, ერთსა და იმავე ზედაპირზე, სუბიექტისა და ობიექტის უმანკო თანაარსებობა, და აგრეთვე წაშალოს ჩვეული საზღვრები მეს, შენს, მას, ჩვენსა და მათ შორის. ურთიერთკავშირები, მეტამორფოზები.

ჩემი ტანჯვა გადმოსცემს სურათებს, რომლებსაც "ხმის ქალწული" ქმნის მეორე მხარეს, მოელვარე ციალთა გარემოცვაში. გადასვლა,

რომლის განხორციელებაც მსურს დაძაბული სიზუსტით, რომელიც შემაძლებინებდა, გამე-ნვრთნა შემთხვევითობა და ამინაზლაურებდა ჩემს სრულ დამორჩილებას "ხმის ქალწული-სადმი".

პოეტური სიმართლის მგზნებარე საჭიროება. ეს ხმა ითხოვს, რომ მხილველური ძალა თანადროულად განთავისუფლდეს და შენარჩუნდეს, ის მოითხოვს წარმოუდგენელ თავდაჭერილობას ამ ძალის მიმართვისას [და ამ სახე-ხატების აგებისას].

მე ვერ ვამჩნევ, ვლაპარაკობ პოეტურ სრულყოფაზე, თავისუფლებაზე, თუ სიყვარულსა და სიკვდილზე.

*

ხუთშაბათი, 14 დეკემბერი, 1964

3

"ჩემი ხმის ქალწული" შთაგონებაცაა და - არაცნობიერიც.

**რამდენიმე გასაღები
ალეხანდრა პისარნიკისთვის
(საუბარი მართა ისაბელ მოიასთან)**

მართა ისაბელ მოია: შენს ლექსებში არის გარკვეული სიტყვები, რომლებიც ემბლემურად მიმაჩნია, და რომლებიც მარტოსულ, აკრძალულ რამეებად აქცევენ შენს ლექსებს, ბავშვური ვნებების, პოეზიის, სიყვარულის, სიკვდილის მსგავსებად. მეთანხმები, რომ სიტყვები ბალი, ტყე, სიტყვა, მდუმარება, ხეტიალი, ქარი, გულისტკივილი და ღამე ერთდროულად ნიშნებიცაა და ემბლემებიც?

ალეხანდრა პისარნიკი: ვფიქრობ, ჩემს ლექსებში არის სიტყვები, რომლებსაც განუწყვეტლივ ვიმეორებ, ვიმეორებ უმოწყალოდ და დაუნდობლად: ბავშვობის, შიშების, სიკვდილის, სხეულთა ღამეების სიტყვები. ანდა, უფრო კონკრეტულად, სიტყვები, რომლებსაც შენს კითხვაში გამოყოფ, ერთდროულად ნიშნებიცაა და ემბლემებიც.

მ. ი. მ.: დავინუოთ, მაშ, ყველაზე საამურ სივრცეებში შებიჯებით: ბალსა და ტყეში.

ა. პ.: ჩემთვის ერთ-ერთ ყველაზე მომაჯადო-
ებელ და მომნუსხველ ფრაზას პატარა გოგო-
ნა, ალისი წარმოთქვამს საოცრებათა ქვეყანა-
ში: "მე მხოლოდ იმისთვის მოვედი, რომ ბალი
მენახა". ალისისთვისაც და ჩემთვისაც, ბალი შე-
ხვედრის სივრცეა, ანდა, როგორც მირჩა ელი-
ადემ თქვა, სამყაროს ცენტრი. ეს ცოდნა ამგ-
ვარ წინადადებას მთავაზობს: ბალი მწვანეა
ტვინში. ამ ჩემმიერვე მოფიქრებულ ფრაზას
სხვა, გასტონ ბაშლარის ფრაზასთან მივყავარ,
რომელიც, ვიმედოვნებ, სწორად მახსოვს: "სი-
ზმარ-მეხსიერების ბალი, დაკარგული ჭეშმარ-
იტი წარსულის საიქიოში".

გ. ი. პ.: რაც შენს ტყეს შეეხება, როგორც ჩანს
ის მდუმარების სინონიმია. მაგრამ სხვა მნიშ-
ვნელობებსაც ვგრძნობ მასში. მაგალითად, ის,
შეიძლება, აკრძალულსა და დაფარულზე მიან-
იშნებდეს.

ა. პ.: რატომაც არა? მაგრამ ის აგრეთვე, შეი-
ძლება, ალნიშნავდეს ბავშვობას, სხეულს, ღა-
მეს.

გ. ი. პ.: ოდესმე შეგიბიჯებია ბალში?

ა. პ.: პრუსტი, სურვილის ანალიზირებისას, ამბობს, რომ სურვილს არ სურს, რომ გააანალიზონ, მას სურს, რომ დააკმაყოფილონ. მე არ მსურს ბალზე საუბარი, მისი დანახვა მინდა. ცხადია, რასაც ვამბობ მაინც უმნიშვარი და ქარაფშუტულია, მაგრამ ამ ცხოვრებაში ვერას-დროს ვშვებით იმას, რაც გვსურს. რაც კიდევ ერთი მიზეზია იმისა, რომ ბალის ხილვა გვსურდეს, თუნდაც ეს შეუძლებელი იყოს; განსაკუთრებით თუ ეს შეუძლებელია.

ბ. ი. მ.: სანამ შენ მპასუხობდი, შენმა ხმამ ჩემს მეხსიერებაში მიპასუხა ფრაზით შენი ლექსიდან: "ჩემი საქმე მოხმობა და განდევნაა".

ა. პ.: სხვა მიზეზებთან ერთად, მე იმის გამოცვნერ, რომ არ მოხდეს ის რისიც მეშინა; რათა არ იარსებოს იმან, რაც ჭრილობას მაყენებს; თავი დავითარო ბოროტისაგან (კაფკა). ნათქვამია, რომ პოეტი დიდი მკურნალია. ამ გაგებით, პოეტური ამოცანის ნაწილია ექსორციზმი, სულთგამოხმობა და, ამის მიღმა, განკურნება. ლექსის დაწერა ფუნდამენტური ჭრილობის განკურნებას ნიშნავს, ხლეჩის შეხორცებას. რადგან ყველა ჩვენგანი დაჭრილია.

მ. ი. მ.: იმ მრავალ მეტაფორათაგან ერთ-ერთი, რომლითაც შენ ამ ფუნდამენტურ ჭრილობას ქმნი, განსაკუთრებით ცხადად აღმებეჭდა მეხსიერებაში, იმის გამო, თუ რამდენად იძოქმედა მან ჩემზე - ფრაზა ერთ შენს ადრეულ ლექსში შემხვდა, სადაც წერ: "განცვიფრებული მხეცი ჩემს სისხლში მიათრევს საკუთარ თავს". და მნამს, რომ ქარი ამ ჭრილობის ერთ-ერთი მთავარი ავტორია, რამდენადაც ის დროდადრო იხსენიება შენს ლექსში, როგორც "დიადი მტან-ჯველი".

ა. პ.: მე მიყვარს ქარი იმის მიუხედავად, რომ, სწორედაც, ჩემი წარმოსახვა მას ხშირად აღჭურვავს ხოლმე მძვინვარე ფორმებითა და ფერებით. ქარისგან დაბეგვილი, მე მივდივარ ტყეში, დავეხეტები ბალის ძიებაში.

მ. ი. მ.: ლამით?

ა. პ.: ლამისა მე ცოტა რამ ვიცი, მაგრამ ვუ-ერთდები მას. მე ეს ერთ ლექსში ვთქვი: "მთელი ლამის მანძილზე ლამეს ვქმნი. მთელი ლამე ვწერ. სიტყვა-სიტყვა ვწერ ლამეს".

მ. ი. მ.: ერთ ადრეულ ლექსში შენ მდუმარებასაც შეუერთდი.

ა. პ.: მდუმარება: ერთადერთი ცდუნება და უდიდესი პირობა. მაგრამ ვგრძნობ, რომ "დაულალავი ჩურჩული" მარად გროვდება (რაკარგად ვუწყი თუ საით მიედინება მოხეტიალე ენის შადრევანი). ამიტომ ვბედავ, ვთქვა, რომ არ ვიცი, თუ არსებობს მდუმარება.

მ. ი. მ.: იმ "მეს" ერთგვარ კონტრაპუნქტად, რომელიც ღამეს ერწყმის, ვხედავ "უცხოს"; "უდაბნოს მდუმარე ბინადარს"; "პატარა მოგზაურს"; "ჩემს მისივე თავისგან გადახვენილს"; იმას, რომელსაც სურდა "კლავიშებში შესვლა, რათა შეეღწია მუსიკის შიგნით, რათა სამშობლო ჰქონება." ესენი, შენი სხვა ხმები, ისინი, რომლებიც შენი ხეტიალის ხელობაზე მეტყველებენ - რაც შენს ჭეშმარიტ ხელობად მესახება.

ა. პ.: თრაკლის ფრაზა მაგონდება: "კაცი უცხოა დედამიწაზე". * მწამს, რომ, ყველა სხვას შორის, პოეტი ყველაზე მეტად უცხოა. მჯერა, რომ პოეტის ერთადერთი თავშესაფარი სიტყვაა.

* ესპანურად: "Es el hombre un extraño en la tierra". აქ პი-სარნიკი მცდარად ციტირებს სტრიქონს თრაკლის ლექ-სიდან "სულის გაზაფხული": "Es ist die Seele ein Fremdes auf Erden" ("სული უცხოა დედამიწაზე").

პ. ი. ბ.: შენ გაქვს შიში, რომელიც საფრთხეს უქმნის ამ თავშესაფარს: "იმის არცოდნა, თუ როგორ დავასახელოთ ის, რაც არ არსებობს". სწორედ ამ დროსაა, რომ ენას ემალები.

ა. პ.: მინდა, ორაზროვნებით ვცადო განმარტება: მე ენას ენაში ვემალები. როდესაც რაღაცას - მათ შორის არარას - სახელი აქვს, ის ნაკლებ მტრული გვეჩვენება. და მაინც, მაქვს ეჭვი, რომ მთავარი უთქმელია.

პ. ი. ბ.: ამიტომ ეძებ "ფიგურებს, რომლებიც ცოცხლად გვესახებიან აქტიური ენის წყალობით, რომელიც მათ გულისხმობს"?

ა. პ.: ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ნიშნები, სიტყვები მიანიშნებენ, გულისხმობენ. ენის შეგრძნების ამ რთულ გზას მივყავარ რწმენასთან, რომ ენა რეალობას ვერ გამოხატავს, რომ ჩვენ მხოლოდ თვალნათელის შესახებ შეგვიძლია ლაპარაკი. აქედან მომდინარეობს ჩემი სურვილი, შევქმნა შემზარავი სიზუსტის ლექსები, მიუხედავად ჩემი თანმობილი სურრეალიზმისა და იმ ფაქტისა, რომ შინაგანი აჩრდილების ელემენტებით ვმუშაობ. სწორედ ეს ახასიათებს ჩემს ლექსებს.

მ. ი. მ.: და მაინც, შენ ალარ ეძებ სიზუსტეს.
ა. პ.: მართალია; მსურს, ლექსი თავად დაიწ-
ეროს, ისე, როგორც თავად სურს. მაგრამ მირ-
ჩევნია, აწმყოზე არ ვილაპარაკო, რადგან ის
ჯერ თითქმის არც კი დაწერილა.

მ. ი. მ.: მიუხედავად იმისა, რომ ამდენს წერ?!

ა. პ.: ...

მ. ი. მ.: "სახელის დარქმევის არცოდნა" დაკავ-
შირებულია სურვილთან, მიაგნო "რაიმე ფრა-
ზას რომელიც სრულებით შენია". შენი წიგნი,
"შრომები და ღამეები" მრავლისმთქმელი პა-
სუხია, რადგან მასში სწორედ შენი ხმები მეტ-
ყველებენ.

ა. პ.: ამ ლექსებზე ბევრი ვიმუშავე და უნდა
ვთქვა, რომ მათი შექმნისას საკუთარი თავი
შევქმენი, და მე შევიცვალე. ჩემში ვატარებდი
იდეალური ლექსის ფორმას და მე მას მივაღწიე.
ვიცი, რომ არავის ვგავარ (ეს უბედურებაა). ამ
წიგნმა მომცა ბედნიერება, წერაში თავისუფ-
ლება მეპოვა. თავისუფალი ვიყავი, შემეძლო
ჩემი თავისგან ისეთი ფორმა შემექმნა, როგო-
რიც მსურდა.

მ. ი. მ.: ეს შიშები თანაარსებობენ იმ სიტყვების შიშთან, რომლებიც ბრუნდებიან. რა სიტყვებია ესენი?

ა. პ.: მეხსიერება. მე ვუცქერ გაქროლებული სიტყვების მდინარებას, და თავი დაუცველ და პასიურ მაყურებლად მეჩვენება.

მ. ი. მ.: მე ვთვლი, რომ სარკე, მეორე მხარე, აკრძალული ზონაა და მისი დავიწყება შენს შემოქმედებაში "სიორის", "ორად ყოფნის" შიშს წარმოქმნის. შედეგად, შენი შემოქმედება გაურბის დოპელგანგერის საზღვრებს, რათა მოიცვას ყველა, ვინც კი ყოფილხარ.

ა. პ.: მართალი ხარ. ყველა იმათგანის შიში, ვინც ჩემს შიგნით მეტოქეობს. ანრი მიშოს ერთ ლექს-შია ასეთი ფრაზა: "მე ვარ. მე ვლაპარაკობ მასზე, ვინც-მე-იყო და ვინც-მე-იყო ლაპარაკობს ჩემზე [...] არავინაა მარტო საკუთარ ტყავში".

მ. ი. მ.: ეს რაიმე კონკრეტულ მომენტში ხდება?

ა. პ.: როდესაც "ხმის ქალწული" მღალატობს.

პ. ი. მ.: შენი ერთი ლექსის თანახმად, შენი ყველაზე ლამაზი სიყვარული სარკეების სიყვარული იყო. ვის ხედავ მათში?

ა. პ.: ვხედავ სხვას, რომელიც მე ვარ. (სინამდვილეში, სარკეებისადმი გარკვეულ შიშს განვიცდი). დროდადრო, ჩვენ ვერთდებით. ეს თითქმის ყოველთვის მაშინ ხდება, როცა ვწერ.

პ. ი. მ.: ერთი დამით, ცირკში, შენ აღადგინე დაკარგული ენა, "იმ წამს, როდესაც მხედრებმა, ჩირალდნებით ხელში, მძვინვარე წრეზე გააჭენეს თავიანთი შავი რაშები." რა არის ეს რაღაც "რაც მიაწვდის ჩემს გულს იმ მხურვალე ბგერების მსგავსებას, ფლოქვები რომ გამოსცემდნენ ქვიშებზე".

ა. პ.: მე უპოვნელი ენის პოვნას ვცდილობ.

პ. ი. მ.: იქნებ შენ ის მხატვრობაში იპოვე?

ა. პ.: ხატვა მიყვარს, რადგან მხატვრობაში ვპოულობ შესაძლებლობას, მდუმარედ შევეხმიანო ჩემი შინაგანი ლანდების ხატებებს. ამასთან ერთად, მე მხიბლავს მითომანიის ნაკლე-

ბობა მხატვრობის ენაში. სიტყვებით მუშაობისას ან, უფრო ზუსტად, ჩემი სიტყვების ძიებისას, ვაწყდები დაძაბულობას, რომელიც მხატვრობაში არ მხვდება.

პ. ი. პ.: რა გიზიდავს ასე ძალიან რუსოს "მძინარე ბოშა ქალში"?

ა. პ.: ეს ტილო საცირკო ცხენების ენის ექვივალენტია. ვისურვებდი, დამეწერა რამე ამ ნახატის მსგავსი, რადგან მასში მდუმარებაა და, ამავე დროს, მინიშნებები მძიმე და მანათობელ რამეებზე. აგრეთვე განსაკუთრებით მიყვარს ბოსხის, კლეეს და ერნსტის შემოქმედება.

პ. ი. პ.: და ბოლოს, მაინტერესებს, ოდესმე თუ დაგისვამს საკუთარი თავისთვის შეკითხვა, რომელსაც ოკტავიობასი სვამს "მშვილდისა და ლირის" შესავალში: "განა არ აჯობებდა, ცხოვრება გვექცია პოეზიად და არა პოეზია ცხოვრებად?"

ა. პ.: ამაზე ჩემი ერთ-ერთი ახალი ლექსით გიპასუხებ:

ვნატრობ, მხოლოდ ექსტაზში შემეძლოს ცხოვრება, ლექსის სხეულს ჩემივე სხეულით ვემნიდე, ყოველ წინადადებას ჩემი დღეებითა და კვირებით ვიხსნიდე, ლექსს ჩემი სუნთქვით აღვავსებდე, ვიდრე ყველა სიტყვის ყველა ასო მსხვერპლად არ შეეწირებოდა ცხოვრების ცერემონიებს.

სარჩევი

ირაკლი ყოლბაია. ალქიმია და სინესთეზია 5

ციტაციები და ლიტერატურის განვითარები	13
ლექსი	13
გამოცხადებები	14
შენს დაბადების დღეზე	15
ნერვული და საფიზიოლოგიური მართვები	16
საყვარლები	17
რომელიც ანათებს	18
აღიარება	19
შეხვედრა	20
სანგრძლივობა	21
შენი ხმა	22
დავიწყება	23
დაკარგული ნაბიჯები	24
შენთვის სახელის დარქმევა	25
გამომშვიდობება	26
შრომები და ლამენტები	27
მისი არყოფნის მნიშვნელობა	28
მწვანე სამოთხე	29
ბავშვობა	30
მანამ	31
განთიადი	32
საათი	33

საკუთარი თავისგან გასაქცევ ადგილას	34
ფუჭი საზღვრები	35
არსებულის გული	36
დიდი სიტყვები	37
მდუმარებები	38
სიჩუმეს მოვითხოვ	39
 ნიგნიდან სიგიშის ძვის გამოხდა	
ღამის მომლერალი ქალი	40
თავბრუსხვევა, ანუ სასრულ რამეთა განაზრება	41
ყრუ ფარანი	42
პრივილეგია	43
ღამე გულისა	44
ზამთრის ზღაპარი	45
ნატეხები მდუმარების სამართავად	46
სიზმარი რომელშიც დუმილი ოქროა	48
Tête de Jeune Fille (ოდილონ რედონი)	49
მუსიკის დაპირებები	50
უწყვეტობა	51
სარკის ბილიკები	52
 ნიგნიდან მუსიკალური ჯოჯოხეთი	
Cold in Hand Blues	57
ქვაკუთხედი	58
მუსიკალური ჯოჯოხეთი	64
მალდორორის სიმღერების ეგზემპლარში	65

მაკურნებელი სიტყვა	66
უხილავისანი	67
წყალთა სიბნელე	68
სრული დანაკარგი	69
გარდაცვალების მერა გამოცემული ლექსები	
ამაღამ, ამ სამყაროში	70
მოკლე კანტონები	74
ჩანაწერები პოეზიაზე	80
ინტერვიუ	
რამდენიმე გასაღები...	83

ტირაჟი 100 ცალი